**N415 2015 წლის 6 აგვისტო ქ. თბილისი**

**პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის საკითხის განხილვისას სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით საქმისათვის მნიშვნელოვანი და შესაბამისი დოკუმენტის გაცემისათვის დამაბრკოლებელი გარემოებების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ**

**მუხლი 1.** „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის საკითხის განხილვისას სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით საქმისათვის მნიშვნელოვანი და შესაბამისი დოკუმენტის გაცემისათვის დამაბრკოლებელი გარემოებების დადგენის წესი თანდართული სახით.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 აგვისტოდან.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**

**დამტკიცებულია**
**საქართველოს მთავრობის**
**2015 წლის 6 აგვისტოს**
**№ 415 დადგენილებით**

**პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის საკითხის განხილვისას სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით საქმისათვის მნიშვნელოვანი და შესაბამისი დოკუმენტის გაცემისათვის დამაბრკოლებელი გარემოებების დადგენის წესი**

**მუხლი 1.** პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის საკითხის განხილვისას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით საქმისათვის მნიშვნელოვანი და შესაბამისი დოკუმენტის გაცემისათვის დამაბრკოლებელი გარემოებების დასადგენად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) უფლებამოსილი ტერიტორიული სამსახურის ურთიერთობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან განისაზღვრება ამ წესით.

**მუხლი 2**

1. სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით საქმისათვის მნიშვნელოვანი და პირადობის ნეიტრალური მოწმობის/ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემისათვის დამაბრკოლებელი გარემოებების დასადგენად, სააგენტოს უფლებამოსილი ტერიტორიული სამსახური პირადობის ნეიტრალური მოწმობის/ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის მოთხოვნით

წარდგენილ განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებს მათი მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა უგზავნის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს.

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ვალდებულნი არიან შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 5 დღის ვადაში სააგენტოს უფლებამოსილ ტერიტორიულ სამსახურს მიაწოდონ მოთხოვნილი ინფორმაცია.

3. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური დადგენილ ვადაში არ გასცემენ შესაბამის ინფორმაციას, ითვლება, რომ არ არსებობს პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემისთვის დამაბრკოლებელი გარემოება და მათ გაცემაზე უარის თქმის აღნიშნული საფუძველი.

**მუხლი 3.** სააგენტოს უფლებამოსილ ტერიტორიულ სამსახურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შორის კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული ფორმით.